

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

30 YEARS of
DIPLOMATIC RELATIONS

პოლიტიკის დოკუმენტი

უკრაინაში შეჭრა, გლობალური
სანქციები რუსეთის წინააღმდეგ
და საქართველოსთვის
მოსალოდნელი ეკონომიკური
შედეგები

ავტორები:

იაროსლავა ბაბიჩი
არჩილ ჩაფიჩაძე
ნინო სარიშვილი

აპრილი, 2022

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ამ მოვლენამ არა მარტო ჩამოშალა გლობალური უსაფრთხოების სისტემა და გაანადგურა მილიონობით მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე და საარსებო წყარო შუაგულ ევროპაში, არამედ, მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიო უდიდესი ბირთვული, ჰუმანიტარული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენა. ავტოკრატიული ბირთვული სახელმწიფოს ამ სასტიკმა და არაფრისგან პროვოცირებულმა, მშვიდობიანი და დემოკრატიული მეზობლის წინააღმდეგ მიმართულმა აგრესიამ უპრეცედენტოდ სწრაფი და სასტიკი ეკონომიკური პასუხი გამოიწვია განვითარებული მსოფლიოს მხრიდან. თითქმის ერთ ღამეში რუსეთი მსოფლიოში ყველაზე სანქცირებული ქვეყანა გახდა და ეკონომიკური, ფინანსური და ტექნოლოგიური სანქციების რიცხვითა და მასშტაბით ირანსა და ჩრდილოეთ კორეას გაუსწრო.

სანქციების მასშტაბი

ფინანსური სანქციები ყველაზე მტკივნეული და მყისიერი აღმოჩნდა, რის შედეგადაც რუსული ბანკების უმეტესობას გაეთიშა SWIFT, ბანკთაშორისი კომუნიკაციის ყველაზე მსხვილი საერთაშორისო სისტემა. Visa-მ და Mastercard-მა შეწყვიტეს რუსეთში ფუნქციონირება, რამაც რუსული სადებიტო/საკრედიტო ბარათები ქვეყნის ფარგლებს გარეთ უფუნქციო გადახადა. გარდა ამისა, გაიყინა რუსეთის ცენტრალური ბანკის სავალუტო აქტივები აშშ-ში, ევროკავშირსა და იაპონიაში.

სხვა ქვეყნების (აშშ, კანადა) მიერ დაწესებული სანქციები რუსული ნავთობის შესყიდვის აკრძალვას გულისხმობდა, ევროკავშირი კი, ამავედროულად, განიხილავდა, როგორ შეემცირებინა დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე. ტექნოლოგიური სანქციები შეეხო რუსეთში „ნახევარგამტარების, სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფის, ლაზერების, საავიაციო და კოსმოსური სისტემების, ზეთის გადამამუშავებელი დანადგარების“ ექსპორტს. აღნიშნული სანქციები დააწესეს ტექნოლოგიური ინდუსტრიის უმსხვილესმა მწარმოებლებმა, მათ შორის, სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, იაპონიამ, აშშ-მა და ევროკავშირმა.

კერძო სექტორმა მომხდარ მოვლენებს რუსული ბაზრიდან გასვლით ან საქმიანობის შეზღუდვით უპასუხა. აღნიშნული მოიცავდა სამომხმარებლო და ენერგოსექტორში მოღვაწე კომპანიებს, ფინანსურ კომპანიებსა და ბრენდებს (McDonalds, H&M, Adidas, Shell, BP, Exxon Mobil და სხვ.).

გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე

სანქციების შედეგად, სამომხმარებლო ფასებმა რუსეთში მარტის თვეში [15.7](#)-პროცენტითი წლიური ინფლაცია განიცადა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2015 წლის სექტემბრის შემდეგ. საპროცენტო განაკვეთები 20 პროცენტამდე გაიზარდა, კრემლმა ბაზრიდან გასული უცხოური საწარმოების ნაციონალიზაციის პოლიტიკა გამოაცხადა და სავალუტო კონტროლი და ფასებზე შეზღუდვების დაწესება დაიწყო. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მონაცემებით, მოსალოდნელია რუსეთის მშპ-ის 10%-იანი კლება. ეს მაჩვენებელი 3-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე პანდემიის პიკში იყო. 2022 წლის 7 მარტს რუბლის ღირებულება ისტორიულ ნიშნულამდე დაეცა (1 აშშ დოლარი დაახლოებით 140 რუბლს შეადგენდა), მიუხედავად იმისა, რომ

კასრი ბენზინის ფასმა 100 აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ბანკებს ვალუტის გადახურდავება აუკრძალა. მას შემდეგ რუბლის გამყარება, ძირითადად, გამოწვეულია კაპიტალის მკაცრი კონტროლით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ შენარჩუნდება.


გვერდითი ეკონომიკური ეფექტები საქართველოში

რა არის ის ძირითადი არხები, რომელთა გავლითაც რეგიონში ომისა და რუსეთის წინააღმდეგ გლობალური სანქციების ერთობლიობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას?

დამოკიდებულება გარე სექტორზე

ისტორიულად, საქართველო დამოკიდებული იყო რუსეთზე უცხოური საქონლით ვაჭრობის, ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის გამო, რასაც რუსეთი ხშირად ბოროტად იყენებდა: 2006 წელს დაბლოკა ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში, ხოლო 2018 წელს შეაჩერა კომერციული ფრენები საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დამოკიდებულებებიდან ზოგიერთი პერიოდულად მცირდებოდა (მაგ. ფულადი გზავნილები), პანდემიის შედეგად რუსული ბაზრის წილი საქართველოს ექსპორტში გაიზარდა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: ევროკავშირისა და რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში



დამოკიდებულება სხვა გარე სექტორებზე შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

როგორც ვხედავთ, 2015 წელთან შედარებით რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გადარიცხვების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. მიუხედავად ამისა რუსეთი კვლავ ლიდერია საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების რაოდენობით.

გრაფიკი 2: საქართველოს გარე დამოკიდებულება პარტნიორ ქვეყნებზე: პროცენტული წილი 2015 და 2021 წლებში

2015	ექსპორტი	იმპორტი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ფულადი გადარიცხვები	ტურიზმი
რუსეთი	7%	9%	3%	40%	15%
აზერბაიჯანი	11%	7%	34%	1%	22%
სომხეთი	8%	2%	1%	1%	23%
უკრაინა	3%	6%	-2%	2%	2%
ჩინეთი	6%	8%	4%	0%	0%
ევროკავშირი	29%	29%	47%	30%	4%
თურქეთი	9%	18%	4%	6%	20%
აშშ	5%	4%	1%	9%	1%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2021	ექსპორტი	იმპორტი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ფულადი გადარიცხვები	ტურიზმი
რუსეთი	14%	10%	5%	16%	11%
აზერბაიჯანი	13%	6%	0%	3%	4%
სომხეთი	6%	4%	1%	0%	9%
უკრაინა	7%	5%	1%	3%	8%
ჩინეთი	15%	9%	2%	0%	0%
ევროკავშირი	17%	23%	28%	49%	7%
თურქეთი	8%	18%	6%	2%	17%
აშშ	5%	6%	1%	14%	1%

ცხრილიდან ვხედავთ, რომ ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზრისით, საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე არ არის ძალიან დიდი. მიუხედავად ამისა, გარკვეული პროდუქტების შემთხვევაში, დამოკიდებულების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. მაგალითად, საქართველოდან ღვინის ექსპორტის 60%-იანი, ხოლო მინერალური წყლების 40%-იანი წილი რუსეთზე მოდის.


გარკვეული ქართული პროდუქციისათვის უკრაინაც მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. აღნიშნული მოიცავს ალკოჰოლურ პროდუქტებს, მინერალურ წყალსა და სასუქებს.

გრაფიკი 3. ქართული პროდუქციის ექსპორტის პროცენტული წილი, 2019 წ.



საქართველო ძალიან დამოკიდებულია რუსეთიდან მარცვლეულის, ფქვილეულის და საკვები ზეთის იმპორტზე. პატარა და საშუალო ზომის საწარმოები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან რუსეთთან სავაჭრო სირთულეების მიმართ, ვინაიდან ვაჭრობის ღირებულება და ლოგისტიკური ხარჯები ევროპის ბაზარზე გაცილებით უფრო მაღალია.

გრაფიკი 4. საქართველოში საქონლის/პროდუქციის იმპორტის პროცენტული წილი, 2020 წ.



საკვანძო საქონლის ფასების გლობალური ზრდა

რუსეთ-უკრაინის ომმა უკვე გამოიწვია პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტების ფასების ზრდა, კერძოდ, ზეთისა და ხორბლის. მსოფლიო ბაზარზე **ხორბლის ფასი** ომის დაწყებამდე იზრდებოდა და 2022 წლის იანვარში მეტრული ტონის ფასი 332 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წლიურ ჭრილში 38%-ით ზრდას ნიშნავდა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე მაღალია. ამის შემდეგ აშშ-ში მეტრული ტონის ფასი 361 აშშ დოლარამდე გაიზარდა (ბუშელის ფასი – 9.8 აშშ დოლარი). ფასების ამგვარი ზრდა იმითაა გამოწვეული, რომ რუსეთსა და უკრაინაზე ერთად მსოფლიოში ხორბლის ექსპორტის მესამედი მოდის. ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა განაცხადა, რომ ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების ზოგიერთ ქვეყანაში გეგმავდა ხორბლის ექსპორტის შეჩერებას მანამ, სანამ საკუთარ ბაზარს არ უზრუნველყოფდა. პარალელურად უკრაინამ განაცხადა, რომ რუსეთის უკრაინაში სამხედრო შეჭრის გამო, შესაძლოა, ქვეყანაში არსებული ხორბლის პლანტაციები 39%-ით შემცირდეს.

მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ ნავთობის ფასის გაძვირება ინფლაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. მაგალითად, 2022 წლის თებერვალში ნავთობის ფასები გლობალურად წლიური 55%-ით გაიზარდა, რამაც საქართველოში გაზისა და ელექტროენერჯის ფასების ანალოგიური ზრდა გამოიწვია (45.8%-იანი ზრდა 2021 თებერვლიდან 2022 თებერვლამდე), რის შედეგადაც ინფლაციის მაჩვენებელი 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ხორბლისა და საწვავის ფასის ზრდით გამოწვეული ორმაგი შოკი საფრთხეს უქმნის სიღარიბის ზღვარზე მყოფ მოსახლეობის ჯგუფებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სასურსათო ბალანსების თანახმად, ხორბლის ფქვილის ადგილობრივი მოხმარების მაჩვენებელი 2020 წელს, საშუალოდ, დღეში 1294 კილოკალორიას შეადგენდა. უხეშად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დღიური კალორიების 52%-65% სწორედ ხორბლის პროდუქტებით მიიღება (ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია, მაგრამ უფრო დაბალია, ვიდრე რამდენიმე სხვა განვითარებად ქვეყანაში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პური დღიური რაციონის 20% შეადგენს, მაშინ, როცა აფრიკაში ეს მაჩვენებელი 80%-ზე მაღალია). ამგვარად, მოსალოდნელია, რომ ხორბლის ფასის მატება საგრძნობ გავლენას იქონიებს საყოფაცხოვრებო ბიუჯეტზე.

ქართულმა ლარმა გაუძლო თავდაპირველ შოკს, რომლის შედეგადაც, 22 თებერვლიდან აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით 14%-ით გაიზარდა (3,402-მდე). მიუხედავად ამისა, მას შემდეგ ლარი საგრძნობლად გამყარდა. ამჟამად, აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით სულ რაღაც 4%-ით უფრო მაღალია, ვიდრე 22 თებერვალს არსებული მაჩვენებელი. მომავალში ლარის გაცვლითი კურსი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს რამდენიმე გარე ფაქტორზე, მათ შორის, ომით გამოწვეული ეკონომიკური და სავაჭრო სირთულეების მასშტაბებზე, აგრეთვე, პოლიტიკურ პერსპექტივებზე, რომელთაც გავლენა აქვთ ტურისტებისა და ინვესტორების ქცევაზე.

რუსი მიგრანტები და უკრაინელი ლტოლვილები

ომის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში საქართველოში რუსეთის ათასობით მოქალაქე შემოვიდა, რომელმაც სანქციებს ან/და არასახარბიელო პოლიტიკურ მდგომარეობას აარიდა თავი. ქვეყანამ ათასობით უკრაინელი ლტოლვილიც მიიღო, უმეტესად ხარკოვიდან და მარიუპოლიდან. მრავალ მათგანს არ მიეცა ამ ქალაქებიდან უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე გადასვლის

საშუალება და რუსეთში გამგზავრება მოუწია, საიდანაც მათი ნაწილი საქართველოში ჩამოღწევას ცდილობს.

ოფიციალური ინფორმაციით, უკრაინელი ლტოლვილები, რომლებიც საქართველოში თავშესაფარს ითხოვენ, იმავე უფლებებით სარგებლობენ, რითიც იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან (მაგ. შეუძლიათ მიიღონ ყოველთვიური ფულადი დახმარება 45 ლარის ოდენობით, ისარგებლონ სახელმწიფო დაზღვევით, იცხოვრონ თავშესაფარში). გარდა ამისა, უკრაინელ ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. ამავდროულად, უკრაინელ ლტოლვილებს და მათ ოჯახებს ბევრი კერძო კომპანია და საქართველოს რიგითი მოქალაქე სთავაზობს დახმარებას საცხოვრებლის მიცემით, განათლების მიღებაში ხელშეწყობით, სამედიცინო დახმარების გაწევით, ტანსაცმლით უზრუნველყოფითა და ლტოლვილებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამსახურის ძიებაში დახმარებით. სავარაუდოა, რომ ლტოლვილების ნაწილი მაინც ცხოვრებას ევროპაში, კანადასა და აშშ-ში გააგრძელებს. ამ პროცესს ართულებს ის, რომ ხშირად ლტოლვილები დასავლეთ უკრაინიდან მოდიან და გადაადგილდებიან მხოლოდ პირადობის მოწმობით ან ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე უკრაინის საკონსულოებს არ შეუძლიათ საერთაშორისო პასპორტების გაცემა, ლტოლვილთა ნაწილს უფრო დიდი ხნით მოუწევს საქართველოში დარჩენა და თავშესაფრის მოთხოვნა.

ამ მიგრაციამ ყველაზე დიდი გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე იქონია და უძრავი ქონების ქირაობის და შესყიდვის ფასები უპრეცედენტოდ გაიზარდა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მარტის პირველ კვირებში უძრავი ქონების ქირაობის ფასები თბილისში დაახლოებით ორჯერ გაიზარდა.

მიგრანტების შემოდინებამ (განსაკუთრებით რუსეთიდან, რომლებსაც სავარაუდოდ შემოსავლის დამოუკიდებელი, უცხოური წყარო აქვთ) შესაძლოა არაცალსახა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. ერთი მხრივ, მიგრანტების შემოდინებამ შესაძლოა გამოიწვიოს უძრავი ქონების ბაზრის გადატვირთვა, მაგრამ ამავდროულად ხელი შეუწყოს საზღვარგარეთიდან ფინანსური რესურსების მოზიდვას და გაზარდოს ადგილობრივი დანახარჯი და მოხმარება.

შესაძლოა თუ არა საქართველო გახდეს სანქციებისგან თავის არიდების ადგილი?

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფინანსურ სისტემაზე სანქციები დაწესდა, ზოგიერთმა რუსულმა კომპანიამ საკუთარი ბიზნესების საქართველოში რეგისტრაცია დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს მართლაც რომ საქართველოში დაფუძნების მიზნები ამომრავებდა, სხვები ქვეყანას სანქციებისგან თავის არიდების გზად ხედავდნენ. ბევრი ფიქრობს, რომ ეს დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რადგან შესაძლოა ქვეყანა ბელარუსს დაემსგავსოს, რომელიც 2015-2016 წლებში რუსულ ბიზნესებს სანქციებისგან თავის არიდებაში ეხმარებოდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანამ უფლებებელყოს ყველაზე მძიმე და ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სანქციები. ქართული ფინანსური სისტემა სრულ შესაბამისობაშია რუსულ ბანკებზე დაწესებულ საერთაშორისო სანქციებთან. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ქვეყნის კომერციული ბანკები და გადახდის სისტემები არ თანამშრომლობენ რუსულ გადახდის სისტემასთან "Mir". მეტიც, საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს ორმაგი დანიშნულების პროდუქციით ვაჭრობას,

რომელიც გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება იარაღის ექსპორტის/რეექსპორტის შესახებ გარიგება შეუმჩნეველი დარჩეს საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის.

ამ ეტაპზე საქართველო არ განიხილება რუსეთის მიერ სანქციებისგან თავის არიდების საშუალებად. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ რუსეთის ეკონომიკაზე საერთაშორისო ზეწოლა იზრდება, საქართველოს მთავრობის მხრიდან გონივრული იქნებოდა სიფხიზლის შენარჩუნება თავის დაძვრენის პოტენციურ მექანიზმებთან დაკავშირებით და საქართველოს ტერიტორიის გავლით, აკრძალული საქონლის კონტრაბანდის ნებისმიერი მცდელობის დაუყოვნებლივ აღკვეთა. ყოველივე ამით საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველოს რეპუტაცია დაცული იქნება.